პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

135 (1130) | კვირა, 11 ივლისი 1926 წ. | 135 (1130)

## ცვალებადელო, გაასკეცებული ენერგიით განაგრძე სწავლება

ცვალებადელთა ტერშეკრების დამთავრებამდე სულ ოციოდე დღე დარჩა.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვავალებს ჩვენ მოუწოდოთ ცვალებად წითელ არმიელებს ენერგიულ და თავდადებულ სამხედრო--პოლიტიკურ სწავლებისაკენ.

ტერშეკრების დამთავრების მოახლოვებამ ადვილი შესაძლებელია გული აუცრუოს ზოგიერთ ტერარმიელს მეცადინეობაზე. ეს კი არაფრად არ ვარგა. ასეთ განწყობილებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ თვით ცვალებადელებმა. პირიქით, სწავლების შესუსტება კი არა, მისი ერთიორად გაძლიერება—აი რა ევალება ცვალებადელ წითელ არმიელს. თუმცა ოცი დღე თავისთავად პატარა დროა, მაგრამ ტერიტორიალური სწავლებისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ ხნის განმავლობაში ბევრის შეძენა შეიძლება სამხედრო დარგში და პოლიტგანვითარების მხრივ, თუ ცვალებადელი მეტის ენერგიით და ხალისით განაგრძობს მეცადინეობას.

ეს კარგად უნდა იცოდეს ყოველმა ტერარმიელმა და ჩვენც ეჭვი არ შეგვდის ამაში.

ამიტომაც არავითარ ზარმაცობას, გულგრილობას, დაუდევარ მოპყრობას სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებისადმი არ უნდა დაურჩეს ადგილი. თუ კი ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი მას უნდა შეებრძოლოს თვით ცვალებადელთა მთელი მასა.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ--ტერსისტემა მაშინ მოიტანს საუკეთესო ნაყოფს, აწევს საბჭოთა კავშირის საბრძოლო უნარს, როცა ყოველი ცვალებადელი წითელ არმიელი მთელი თავისი რევოლიუციონური შეგნებით, გაასკეცებული ენერგიით და ძალით, ხალისიანად მოკიდებს ხელს სამხედრო მეცადინეობას ტერშეკრებების დროს, და არა ნაკლები ინტერესით ის იზრუნებს თავის სამხედრო მომზადებაზე ტერშეკრების შემდეგაც.

ცვალებადელ წითელ არმიელს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ტერშეკრების დამთავრება სრულიად არ ნიშნავს მას, რომ მან სამხედრო მომზადება და სამსახური დაამთავრა. ტერშეკრების შემდეგაც ის რჩება სამხედრო ვალდებული, ე. ი. ის მოვალეა შემდეგშიაც ეცნობოდეს და იწვრთნებოდეს სამხედრო საქმეში.

ამიტომ თვით ცვალებადელისათვის უკეთესია გაძლიერებული მეცადინეობა აწარმოოს შეკრების დროს, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნით დაბრუნდეს სახლში.

ამრიგად ამხანაგო ცვალებადელებო! მეტის ენერგიით, მეტის ხალისით განვაგრძოთ სამხედრო საქმის შესწავლა და შეთვისება! რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოვიყენოთ დარჩენილი ოცი დღე სამხედრო მომზადებისათვის.

## როგორ აპირებს საფრანგეთის ბურჟუაზია ფრანკის განმტკიცებას

ამჟამად საფრანგეთის პარლამენტში ირჩევა საკითხი ფინანსიური კრიზისის მოგვარების შესახებ. წინასწარი გეგმა ამ მხრივ შეიმუშავა ახალმა ფინანსთა მინისტრმა კაიომ. როგორც ვიცით ის უერთგულესი მოსარჩლეა საფრანგეთის „მსხვილ ბურჟუაზიის. ამიტომაც მისი გეგმაც ფრანკის კურსის განმტკიცების შესახებ სავსებით გამომდინარეობს კაპიტალისტების ინტერესებიდან.

რა წამოაყენა კაიომ ფინანსიური კრიზისის გადასალახავად? ის მოითხოვს მსხვილ კაპიტალზე გადასახადის შემცირებას, და ახალი გადასახადების შემოღებას ფართო მოთხოვნილების საგნებზე, მოსამსახურეების რიცხვის შემოკლებას, აგრეთვე სამუშაო ხელფასის დაკლებას, სამუშაო დღის გადიდებას და სხვა.

ყოველივე ეს ნათლად გვეუბნება ჩვენ, რომ საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია გადადის შეტევაზე მშრომელი ხალხის წინაამდეგ. ფინანსიური კრიზისის გადალახვის მთელი სიმძიმე მას სურს კისერზე დაადვას მხოლოდ და მხოლოდ მუშებს, გლეხებს და წვრილ ბურჟუაზიას. იმ დროს როცა საფრანგეთის გაუმაძღარი იმპერიალიზმი თავისი მტაცებლური პოლიტიკით ხელს ითბობს ფინანსიურ კრიზისზე, აწარმოებს მტაცებლურ ომებს მაროკოსა და სირიაში, ფლანგავს აუარება ფულს და ყოველივე ამით ხელს უწყობს ფრანკის დაცემას, ამავე დროს ის მოითხოვს, რათა ფრანკის განმტკიცება მოხდეს მუშების და გლეხების ხარჯზე.

ასეთია კაპიტალისტების „სამართლიანობა".

კაიოს გეგმის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა საფრანგეთის კომპარტიამ. მან განაცხადა, რომ კაიოს ფინანსიური პოლიტიკის განხორციელება—ნიშნავს აშკარა იერიშის მიტანას მუშათა კლასის კეთილდღეობაზე. ამ გეგმის გატარება ცხოვრებაში—გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას საფრანგეთში, მშრომელთა მასების გაღატაკებას და 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებასო.

კაიოს გეგმის წინააღმდეგ კომ-პარტიამ წამოაყენა თავისი გეგმა ფრანკის გასამტკიცებლად.

ეს გეგმა მდგომარეობს შემდეგში:

**ბანკების ნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შემოღება, რაც საშუალებას მისცემს საფრანგეთს სხვისი ქვეყნის კაპიტალის დაუხმარებლად მოაგვაროს ფინანსიური საკითხი.**

ცხადია, საფრანგეთის პარლამენტი, რომელშიდაც ბურჟუაზიის და მათი ლაქიების—სოციალისტების წარმომადგენლების უმრავლესობა იმყოფება, არ მიიღებენ კომუნისტების წინადადებას. ცხადია საფრანგეთის ბურჟუაზია თავისას გაიტანს, მაგრამ არა დიდი ხნით. დადგება დრო, როცა საფრანგეთის მუშები და გლეხები სისრულეში მოიყვანებენ კომპარტიის გეგმას და კიდევ უფრო შორს წავლენ.

ისინი არა თუ ბანკების ნაციონალიზაციას მოახდენენ, არამედ ბურჟუაზიის მთელ პოლიტიკურ-ეკონომიურ ბატონობასაც მოუღებენ ბოლოს.

—ე.

# ინგლისის გაფიცული მუშები მტკიცედ დგანან თავისი მოთხოვნილებების პოზიციებზე

## გერმანიის „მრეწველობის რაციონალიზაციის" გამო იხურება მრავალი ქარხნები. უმუშევართა რიცხვი ამის გამო ათასობით იზრდება

### ანტვერპენში მომხდარი მუშა დოკერების გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა

## მტკიცე ფრონტით

მიუხედავად ინგლისის ბურჟუაზიისა და მთავრობის მძაფრი იერიშებისა გაფიცულ მთამადნელ მუშების წინააღმდეგ, მუშების მტკიცე წინააღმდეგობა არ დარღვეულა. ისინი მედგრად დგანან თავის მოთხოვნილებათა ნიადაგზე.

ყველა ნახშირის რაიონებიდან მიღებული ცნობები აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მთამადნელი მუშების ერთიანი ფრონტი არ გარღვეულა.

მაღაროებში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონი დაამტკიცა მეფემაც. მუშათა პარტიის წევრები პარლამენტში ამის გამოცხადებას შეხვდენ საშინელი ხმაურით და „სირცხვილია"-ს ძახილით.

## მთამადნელები დახმარებას მოითხოვენ

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ინგლისის მთამადნელ მუშებისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი:

**„ინგლისის მთამადნელები თავის გულმხურვალე მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის მუშებს დახმარებისათვის და მოგიწოდებთ თქვენ სასწრაფო დახმარებისაკენ, რადგან მთავრობა და მაღაროს პატრონები სცდილობენ გაგვტეხონ შიმშილით".**

ინგლისის პროფკავშირთა გენერალური საბჭო გარკვეულ პასუხს არ იძლევა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების წინადადებაზე ერთიანი ინგლის—რუსეთის დამხმარე კომიტეტის შედგენაზე გაფიცულ მთამადნელ მუშების დახმარების აღმოჩენის მიზნით.

## მუშების მასიური დათხოვა

გერმანიის აუარება ქარხნები იხურება „მრეწველობის რაციონალიზაციის" გამო.

დაიხურა მანქანების მშენებელი ქარხანა აშერსლებენში. დათხოვნილი იქნა 1000 მუშა. ნიურნბერგში მოსალოდნელია 14000 მუშის დათხოვნა, 2.500 ტეხნიკის და 3.500 ხელოსნის. კრუპის ფირმას განზრახული აქვს მოკლე ხნის განმავლობაში 1000 მუშის დათხოვნა. შანდაუს საავტომობილო ქარხნები ითხოვენ 1.300 მუშასა და მოსამსახურეს.

ბერლინში უმუშევართა რიცხვი აღწევს 271.731-მდე.

მუშების დათხოვნას მიზნად აქვს სამუშაოს ხელფასის შემცირების გატარება.

## თვითონ დაინიშნა თავი

პილსუდსკი დანიშნული იქნა პოლონეთის არმიის გენერალ-ინსპექტორად. ეს გარემოება აძლევს მას საშვალებას პასუხი არ აგოს მთავრობის და პარლამენტის წინაშე თავის მოქმედებაში. ომის შემთხვევის დროს ის იკავებს უმაღლეს მთავარ სარდლის პოსტს.

## მუშებმა გაიმარჯვეს

ანტვერპენში (ბელგია) მომხდარი დოკერების გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

გემების პატრონთა კავშირმა გადასწყვიტა, რადგანაც მუშებმა მეორედ უარყვეს პატრონების წინადადება, მიღებული იქნეს მუშების მოთხოვნილებანი, მუშაობის განახლებას მოელიან 10 ივლისიდან.

## ინგლისის ჯალათების მსხვერპლი

კანტონში (ჩინეთი) გონკონგის ახლოს მოხდა ინგლისის პოლიციისა და ჩინელ გაფიცულ მუშებს შორის შეტაკება. შეტაკებამ იმსხვერპლა 26 ჩინელი მუშა. გაფიცვის კომიტეტმა საჩივრით მიმართა ამის შესახებ კანტონის მთავრობას ინგლისის ხელისუფლების წინააღმდეგ გონკონგში.

# საქართველოში.

## საქართველოს პროლეტარიატი ესალმება ინგლისის მთამადნელ მუშათა გმირულ ბრძოლას.

საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის გაფიცულ მთამადნელ მუშებს, რომელშიაც ის საქართველოს პროლეტარიატის სახელით აღფრთოვანებას გამოსთქვამს იმ ორგანიზაციული სიმტკიცის გამო, რომელსაც იჩენენ მთამადნელები გაფიცვებში. საბჭო მოუწოდებს ინგლისის მუშებს ხნეობისაკენ და ბრძოლის სრულ გამარჯვებამდე გაგრძელებისაკენ.

თავისი მხრივ საბჭო აღუთქვამს დახმარებას და დასძენს: „ეს დადგენილება არის საქართველოს პროლეტარიატის ნების გამოხატულება, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა, რომ კლასობრივი პროლეტარული სოლიდარობა არის მისი უდიდესი სინდისი და მოვალეობა"-ო.

## გლეხების თაოსნობით.

სვირის რაიონის გლეხობა, ადგილობრივი თემის საბჭოს ხელმძღვანელობით შეუდგა ხიდის აგებას მდინარე ყვირილაზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო დახმარებას უწევს მათ ხიდის აგებაში.

## აფხაზეთი

### ქარიშხალი ახალ გაგრაში

ახალ გაგრაში ამოვარდა საშინელი ქარიშხალი. შესდგა კომისია ქარიშხალისაგან მომხდარ ზარალის გამოსარკვევათ.

ქარიშხალს მოყვა კოკისპირული წვიმა. წალეკილი იქნა არა მარტო ხის კედლები, არამედ დაინგრა ტინოგის მესრებიც. ნათესეების დიდი რაოდენობა განადგურებულია. ძლიერ დაზარალდა ხეხილის ბაღები. ზოგიერთი ხეები ძირებიანათ იქნა ქარიშხალისაგან ამოგდებული. ადამიანების მსხვერპლი არ ყოფილა.

# საველე არჩოლება

ჯარის სამხედრო ქიმიურ საქმეში პრაქტიკულად მომზადებისათვის სწარმოებს ზამთრის პერიოდში საკნის (კამერის) არჩოლება და ზაფხულის—საველე არჩოლება.

I საველე არჩოლების მიზანია:

1) პრაქტიკულად ქიმიურ თავდასხმის საშუალების გამოყენება სინამდვილეში,

2) ჯარის მოქმედება მოწამლულ ატმოსფერაში და

3) ინდივიდუალური, ჯგუფური და ტაქტიკური მოგერიების გამოყენება.

## II. საველე არჩოლების ორგანიზაცია

საველე არჩოლება უნდა იქნეს მოწყობილი ბანაკად გასვლის წინ, ის არ უნდა იქნეს ისე გამოყენებული, როგორც მას აქამდე აწარმოებდნენ, არამედ უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ ტაქტიკურ ამოცანას. მაგალითად: ლაშქრობა: მზვერავების მოქმედება, მათი მუშაობა მოწამლულ გზებისა და უბნების შეხვედრის დროს, თვითმფრინავიდან ბოლის სანდლების ჩამოყრა, რაც გვიჩვენებს, თუ რა სისწრაფით ნაწილი იხმარს თავდაცვის საშუალებებს. აირმსპობის ჩამოცემა, ტაქტიკური დაცვა, შენიღბვა და საექიმო დახმარების აღმოჩენა. ბანაკად: ანემომეტრიული და ქიმიური დაზვერვა უბნის და მისი შესწავლა ქიმიური თვალსაზრისით.

შემდეგ შეტევისას—იქ სადაც ნაწილის უფროსი ფიქრობს მოახდინოს მტერზე თავდასხმა უნდა მოხდეს ქიმიური თავდასხმაც, რაც იქნება მეორე მხარის არჩოლება და იმისათვის, რომ შემტევ აწილმნა გაიაროს არჩოლება საჭიროა მოხდეს ან იმავ დღეს ან და მაშინ, როდესაც ადგილობრივი პირობები მოგვცემს საშუალებას შებრუნებითი მოქმედება სახელდობრ ნაწილების როლების გაცვლა საველე მოქმედებაში.

ასეთი ტაქტიკური ალლუმი მოგვცემს საშუალებას ბრძოლის ყოველ ფაზაში შეტანილ იქნეს ქიმიური ელემენტი, რომელიც მომქმედ ნაწილებს მისცემს პრაქტიკულ წარმოდგენას ქიმიურ საგანზე.

ასეთ ალლუმს თავის მოქმედების ღერძათ და ამოცანად უნდა ექნეს სამხედრო ქიმიური საქმე: ქიმიური თავდასხმა და ქიმიური მოგერიება.

ვინაიდან ასეთი წესით არჩოლება ჯერ არსად ჩატარებულა და ახალია, საჭიროა მისი წინასწარ მოფიქრება და ადგილობრივი პირობების მიხედვით ჩატარება. საველე არჩოლების ორგანიზაცია და მეთოდი დამყარებულია ბანაკის ქიმიურ სამსახურის უფროსის გამჭრიახობაზე და ბანაკის უფროსის განკარგულებებზე.

საველე არჩოლება უნდა მოხდეს მომავალ ალლუმების წინ, რომ ალლუმში არ ექნეს ადგილი გაუგებრობას და ქიმიური ელემენტი შეტანილ იქნეს ბრძოლის ყოველ ფაზაში. ასეთი წესით საველე არჩოლების ავტორის აზრით იქნებ ხელი შეუშალოს მხოლოდ საწამლავ ნივთიერების არა საკმარის რაოდენობამ და სარგებლობა კი დიდი იქნება იმდენად, რამდენადაც ის უფრო დაახლოვებულია სინამდვილეს ვიდრე აქამდე არსებული არჩოლება.

ქ. გამრეკლიძე.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ჩვენი კომუჯრედი.

მე-6 ლეგიონის მეორე კომუჯრედი არსებობს გასულ წლის ნოემბრის თვიდან. დაარსებისას უჯრედი მცირე რიცხოვანი იყო და პარტ-აქტივიც ძალზე ცოტა ყავდა, რის გამო უჯრედის მუშაობა მოისუსტებს. როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წელში უჯრედის მუშაობას აფერხებდა წვევამდელთა მომზადება და მოკლე ვადიანი შეკრებები, როდესაც პარტ-აქტივი სცილდებოდა უჯრედს და ადგილობრივათ უჯრედში კი სულ ცოტა რჩებოდა მომუშავე ამხანაგები რის გამო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კრებები თავის დროზე არ ტარდებოდა. ეს გარემოება თავის მხრივ დაღს ასვამდა უპარტიოთა შორის მუშაობას. არ სწარმოებდა ლენ-კუთხეებში მეცადინეობა პარტმიმაგრებულ ამხანაგების მიერ. ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა უჯრედს ტერ-შეკრებამდე.

15 მაისის შემდეგ უჯრედის წევრთა რიცხვი დიდათ გაიზარდა და გაიზარდა აგრეთვე პარტ-აქტივიც.

უჯრედმა მიიღო ზომები მუშაობის გამოსაცოცხლებლათ. არჩეული იქნა უჯრედის ახალი პრეზიდიუმი სათანადო მომზადებული ამხანაგების შერჩევით და გამომუშავდა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები.

ახლად არჩეული პრეზიდიუმი დიდ ენერგიას იჩენს ყოველ გვარ საქმიანობაში და დღესვე ეტყობა წარმატება. პრეზიდიუმის წევრებს შორის განაწილებულია მოვალეობანი.

უჯრედს დიდი ამოცანები უდევს წინ ტერ-შეკრების პერიოდში და ამ ამოცანების სწორად გადაჭრაზე დამოკიდებულია ტერ-სისტემის გატარების საკითხი. დიდი მუშაობაა საჭირო ახალწვეულთა შორის, ვინაიდან ამ თვის შემდეგ მოხდება მათი გაშვება. საჭიროა აქედანვე ვაწარმოოთ მათში გამაღლებული კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა, რომ ამით მივსცეთ სოფელს მომზადებული ძალები.

ი. ბ.

# კვლავ გაცხოველდა მუშაობა.

ცხენ. ლეგიონი

ნაწილის ბანაკად გასვლის შემდეგ ყაზარმებში დავრჩით სულ სამი პარტამხანაგი, რომლებიც ვიქენით მიმაგრებული საპონტრესტის ქარხნის უჯრედთან. დამოუკიდებლად ჩვენ არ გვიწარმოებია მუშაობა. ამ ჟამად ბანაკიდან ჩამოვიდენ რამოდენიმე ამხანაგები. პარტშემადგენლობის რიცხვი გამრავლდა იმდენად, რომ საჭირო შეიქნა საკუთარი უჯრედის დაარსება, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ახალ კომუჯრედს დაავალა კრებამ მოაგვაროს ყოველგვარი საქმე და გამოასწოროს ნაკლულოვანებანი მუშაობაში. აღრიცხული იქნეს კანდიდატები და რაც შეიძლება დაჩქარებით მოეთხოვოს ბიურო კოლექტივს სათანადო დირექტივები სახელმძღვანელოდ მუშაობაში. ბიუროს დაევალა აგრეთვე სასწრაფოთ მოახდინოს წევრებს შორის პარტდავალებების განაწილება. გაუწიოს კომკავშირის ჯგუფს ხელმძღვანელობა და მრავალი სხვა.

უჯრედის დაარსებას სიხარულით შეხვდენ უპარტიო ამხანაგებიც.

პ. კახიძე.

# სამხედრო საქმე ბანაკში.

## ოცეულის იერიში

მოპირდაპირის განდევნა მისგან დაკავებული პოზიციიდან, საბოლოოდ განადგურება მისი საბრძოლო ძალების და ჩვენი სიმტკიცისადმი მისი დამორჩილება შეიძლება მხოლოდ იერიშის შემწეობით.

იერიშისათვის მზადება შეიძლება წარმოებული იქნეს ნაწილების მიერ ფართო, გაშლილ ფრონტზე, ხოლო იერიშზე გადასვლა კი შესაძლებელია აწარმოოს დამოუკიდებლად თითეულმა განყოფილებამ. შესაძლებელია ისედაც მოხდეს, რომ საერთო იერიშის დაწყებათ გამოვიდეს რომელიმე განყოფილება.

იერიშის ჩატარების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მომენტის გამორკვევას, როდესაც შეტევაზე გადასვლა უნდა დაგვირგვინდეს იერიშით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იერიშის დაგვირგვინება წარმატებით.

რომელი ნიშანია ისეთი, რომლითაც შეიძლება გამორკვეული იქნეს, რომ შეტევაზე გადასულმა ნაწილმა უნდა დაიწყოს იერიში?

200—300 ნაბიჯის მანძილიდან დაცილებით შეტევაზე გადასული ნაწილები ხსნიან თავბრუდამხვევ ცეცხლს თავისი შაშხანებისა და ტყვიამფქვევებიდან მტრის წინააღმდეგ. მოპირდაპირე ამ დროს არ დააყოვნებს და ასეთივე ცეცხლით უპასუხებს შეტევაზე გადასულ ნაწილებს. ცეცხლით ასეთი შეტოქება მოპირდაპირესთან იქნება უკანასკნელი და ამიტომ ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ შეტევაზე გადასულმა ნაწილმა ჩააჩუმოს მოპირდაპირე და მიიყვანოს ის იმ შეგნებამდე, რომ ბრძოლის გაგრძელება ჩვენს წინააღმდეგ უშედეგო იქნება მისთვის. როგორც კი მოხდება ეს, მოპირდაპირე აერიდება ჩვენს ცეცხლს, მისი ცეცხლი შესუსტება; მის რიგებში თავს იჩენს პანიკა-არევ დარევა.

ეს მომენტი იქნება იერიშ გადასვლის მომენტის დასაწყ ჩვენი შეტევაზე გადასულ ნაწილებისაგან.

ოცეულის უფროსი განსა ღვრავს რა თავის ოცეულ იერიშზე გადასვლის დროს, მ უთითებს თავის განყოფილებ ბს მთავარი დაკვრის ადგილ საკენ. თუ ოცეული მოქმ დობს ფრთაზე, იერიშის და ყებამდე ოცეულის უფროს სცდილობს გამოიყვანოს წი ორი მსროლელი განყოფილ ბა მაინც, რომ იერიშის მომ ნტში მათ გადამლობი ცეც ლის რკალში მოაქციონ მოპ რდაპირე.

იერიშზე გადადიან ისეთი მ ნძილიდან, რომლის გადარბ ნით მსროლელი არ შეიძლებ დაიღალოს და შეინარჩუნებ ენერგიას და ღონეს ხიშტებით ბრძოლისთვის.

იერიშზე გადასვლების დრო მოიერიშენი მჭიდროდ უნდ შემოკრბენ და განუკვეთელი— მტკიცე რიგით ეკვეთონ მტერს

მოპირდაპირის პოზიციებ დაკავების შემდეგ მოიერიშენ არ უნდა შეჩერდენ. მათ უნდ გარგძელონ უკუქცეული მტრის დევნა. ამ მიზნით მსროლელ ბი შეყავთ მოპირდაპირის და ბინავების სიღრმეში. ისეთ ად გილზე, საიდანაც შეიძლებ ნაყოფიერად წარმოებული იქ ნეს ცეცხლი უკუქცეული მტ რის მიმართ, სდგამენ დაზგია და ხელის ტყვიამფრქვევებს

მტრის სანგრების მარცხენ და მარჯვენა მხარეზე გაყვანი ლი უნდა იქნეს ჩვენი მებრ ძოლები, რომლებიც ხელი ყუმბარების საშვალებით სწმ ნდენ მტრის ყოფილ სანგრებ და გამაგრებრლ ადგილებს მ თში დარჩენილ თითო ორო ლა პირებისაგან.

მარცხის შემთხვევებში იერი ში განმეორებული უნდა იქნე წარმატებით დამთავრებამდე.

ნ. პ.

# მუშსოფლკორების მესამე საკავშირო თათბირის დადგენილებანი

## სამხკორთა მდგომარეობა და მათი მუშაობის ამოცანები.

1. წითელ არმიის რიგებში მყოფ მოსამსახურე მუშების და გლეხების პოლიტიკურად გააქტივების ნიადაგზე სამხკორთა მოძრაობამ მიიღო ფართე განვითარება. მუშკორების და გლეხკორების მეორე საკავშირო თათბირის შემდეგ სამხკორების რიგები და კედლის გაზეთები რიცხობრივად და თვისებრივად გაიზარდენ და გამავრდენ. სამხკორთა მოძრაობა, რომელიც მუშგლეხკორების მოძრაობის ნაწილს შეადგენს, ვითარდება და შენდება პარტიის მიერ მითითებულ გზით—ე. ი. მოხალისეობის, სამხკორთა ორგანიზაციის გაზეთის გარშემო შექმნის და გაზეთის საშუალებით ხელმძღვანელობის ნიადაგზე.

2. სამხკორთა ორგანიზაციის და კედლის გაზეთების შექმნის დროს არმიაში, საჭიროა წინასწარ გათვალისწინება მუშაობის განსაკუთრებულობის არმიის პირობებში, სადაც ყველა საზოგადოებრივ — პოლიტიკური მუშაობის ფორმები უნდა იმყოფებოდენ პარტიის ხელმძღვანელობის და გავლენის ქვეშ და აგრეთვე უნდა ეთანხმებოდენ არმიის მშენებლობის საერთო პრინციპებს.

3. გამოვდივართ რა არმიის მუშაობის განსაკუთრებულ პირობებიდან, საჭიროდ და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სამხედრო პრესის მუშაკების მესამე საკავშირო თათბირის მიერ მიღებული დებულებანი:

ა) კედლის გაზეთების გამოშვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ იმ ნაწილებში, სადაც პარტორგანიზაცია არის;

ბ) კედლის გაზეთებს სახელწოდებას აძლევენ უჯრედები;

ვ) კედლის გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორს ნიშნავს პარტორგანიზაცია და რედკოლეგიას ირჩევენ სამხკორები;

გ) ლეგიონის ბიურო და პოლიტგანი გამოყოფენ პარტიულ ორგანიზატორებს სამხკორთა შორის მუშაობისათვის;

დ) განსაკუთრებულ სიფრხილით უნდა მოვეპყრათ იმ გამომჟღავნებითი სახის მასალას, რომელიც ეხება უფროს შემადგენლობას.

4. ძირითად ნაკლულევანებათ სამხკორების მოძრაობის ხელმძღვანელობაში უნდა ჩაითვალოს ასეულის უჯრედის პრეზიდიუმის და ლეგიონის ბიუროს სისუსტე და სათანადოთ უნარის უქონლობა გამოიხატება ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში. ისინი კმაყოფილდებიან უბრალო შენიშვნებით, მაგალითად, ამ დროისათვის გამოიცეს გაზეთი ან და მიუთითებენ რედკოლეგიას—იხელმძღვანელეთ ამ მიზნით „გასამხედროება, გასაბჭოება“ და სხ. ყოვილივე ამაში არ არის კონკრეტიული და პრაქტიკული მითითებანი და ამით ისინი ვერავითარ დახმარებას ვერ უწევენ ასეულის რედკოლეგიას და სამხკორთა წრეებს. პარტორგანიზაციებს ძალიან ხშირად არ შეაქვთ სამხკორთა მუშაობის საკითხები უჯრედის მუშაობის გეგმაში, არ აქცევენ სათანადო ყურადღებას კედლის გაზეთში მოთავსებულ გამომჟღავნებითი ხასიათის მასალას, რაც იწვევს გაზეთისადმი უნდობლობას და მისი ავტორიტეტის დაცემას სამხკორების და მეომრების თვალში.

სამხკორთა წრის მუშაობის გეგმები ძალიან სუსტად არიან შეხამებული ნაწილის სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას და ცხოვრებასთან. სამხკორთა სპეციალურად მომზადებას და მის მუშაობას საბრძოლო პირობებში თითქმის არ აქცევენ ყურადღებას. სუსტია აგრეთვე მუშგლეხკორების კავშირი.

5. ყველა შენიშნული შეცდომების გამოსწორება შესაძლებელია პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერებით სამხკორთა მოძრაობაზე გაზეთის საშუალებით. საჭიროა განსაკუთრებით:

ა) უპარტიო წითელ არმიელების მიზიდვა კედლის გაზეთის რედკოლეგიის შემადგენლობაში;

ბ) მეტი ყურადღებით კედლის გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორების და სამხკორთა მუშაობის ორგანიზატორების არჩევა.

ვ) სამხკორთა მუშაობის თვისობრივი და რიცხვობრივი მუშაობის აღრიცხვის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება;

გ) კედლის გაზეთებში არ მოთავსებულ გამომჟღავნებითი ხასიათის წერილების გამოძიების დაყენება და შესაფერი ზომების მიღება.

დ) ბრძოლა დაწვრილმანების წინააღმდეგ, ე. ი. როცა უსაფუძვლოთ დამცინავი კილოთი წვრილმანი ხასიათის წერილები თავსდება გაზეთში წითელ არმიელების ყოფაქცევის შესახებ, რაც სრულიად არ წარმოადგენს აღმზრდელობითი ზეგავლენის ზომას. ე) სამხკორთა აქტივის მოსამზადებელი ორგანიზაცია.

(გაგრძელება იქნება)

# მომჭირნეობისათვის ბრძოლა წითელ ჯარში

## მომჭირნეობის რეჟიმი წარმატებით ტარდება

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონში თავიდანვე ენერგიულად შეუდგენ წითელ არმიელებიდან დაწყებული უფროსებამდე მომჭირნეობის დაცვის საქმეს. ერთი კაპიკის ქონება არ იკარგება და ყველაფრის დაცვას უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული. ლეგიონის მნე ენერგიულად მოქმედებს ამ მხრივ. არავითარ ზედმეტ ხარჯებს ადგილი არა აქვს ნაწილში. ხშირად კეთდება მოხსენებები ამ თემაზე წითელ არმიელებს შორის. ლენინის კუთხეებში, კერძო საუბრებში, ხმამაღალი კითხვის დროს სულ ეკონომიის რეჟიმზე გვაქვს საუბარი, გვიხსნიან თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას სახელმწიფოს ქონებისა და დოვლათის დაგროვებისათვის. წითელ არმიელები ყურადღებით უსმენენ ყველას და მტკიცეთ ატარებენ დარიგებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პ. ნადარეიშვილი.

# კავალებადელთა სწავლება და ცხოვრება

## ტყვიამფრქვევი კარგად შევისწავლეთ

**5-ე ლეგ. 3-ე ტყვიამფრქვევი ასეული**

ასეულში ძლიერ კარგად პირველ რისროლაზედვე. რის დაყენებული მძიმე ტყვიამფრქვევების შესწავლის საქმე. მეთაურები კარგად მომზადებული არიან და გასაგებათ გვიხსნიან ყველაფერს.

ყველა ამან ის შედეგები მოიტანა, რომ ველში პრაქტიკული სროლის საწარმოებლად, როდესაც გავდივართ, ყოველთვის წარმატებით ვატარებთ დასმულ ამოცანებს. თითეულ სროლის ვარჯიშს ვასრულებთ

მადლობას უძღვნით ჩვენს მეთაურებს, რომლებმაც შეგვაძლებიეს ტყვიამფრქვევის ასე კარგად მოხმარების შესწავლა.

თუ საჭირო იქნება მუშურ გლეხურ სახელმწიფოსითვის—მტრის წინააღმდეგ გამოვიჩენთ ჩვენს ცოდნას და კიდევ უფრო ვასახელებთ ჩვენს მასწავლებელ უფროსებს.

ვ. გოგოძე.

## სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან

**მე 6 ლეგ. 5-თე ასეული.**

მე-6 ლეგიონის მე-5 ასეულში ყოველ საღამოობით სისტემატიურად მიმდინარეობს სკოლის გარეშე მუშაობა. ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა ბირთვები, როგორიცაა, სამხედრო, მკითხველთა, მომხსენებელთა, მხატვართა და სამხკორთა. აღსანიშნავია მკითხველთა ბირთვის მუშაობა. ის ყოველ საღამოობით ატარებს კითხვას და იზიდავს წითელ არმიელების უმრავლესობას. იკითხება პოლიტიკური და სხვა შინაარსის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

ამას წინად წაკითხულ იქნა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „მოსე მწერალი", დიდი დაინტერესება გამოიწვია წითელ არმიელებში, იმართება თვით მოქმედი საღამოები სხვა და სხვა ლექსებით და სიმღერებით, ამ მოკლე ხანში შესდგა მხატვრული ბირთვი, რომლისათვისაც საჭირო მასალა მოგვაწოდა ლეგიონის კლუბის გამგემ.

ასეულის წითელ არმიელები დიდი ენერგიით ეკიდებიან ამ განვითარების საქმეს, რაიც თავდებია ასეულის სკოლის გარეშე მუშაობის თავის სიმაღლეზე დაყენებისა. კარგი იქნება ასეულის ბირთვების ხელმძღვანელები კიდევ მეტი ენერგიულობით შეუდგებოდენ დავალებული საქმის სისრულეში მოყვანას.

მეფარიშვილი.

## ექსკურსია მეტეოროლოგიურ სადგურზე

**4-ე ლეგიონი**

კვირას 27 ივნისს ლეგსკოლა სრული შემადგენლობით, იურ სამსახურის უფროსის ამხ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა № დივიზიის მეტეოროლოგიურ სადგურზე სამეცადინოთ. ნაჩვენები და ახსნილ იქნა მეტეოროლოგიურ სადგურის მნიშვნელობა და მისი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის. სადგურმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კურსანტებზე.

საჭიროა ასეთი ექსკურსიებს ხშირათ აწყობდეს ამხ. ჭავჭანიძე, ვინაიდან უკანასკნელმა დიდი სარგებლობა მოუტანა კურსანტებს. მათ საშვალება მიეცათ თვალნათლივ გასცნობოდენ იმას რაც თეორიულად გავიარეთ.

მადლობის ღირსია № დივიზია, რომ მოგვცა საშვალება სადგურის დათვალიერების.

საჭიროა აგრეთვე ლეგიონმაც შეიძინოს ცოტა რამ მეტეოროლოგიურ სადგურის მოწყობილობიდან.

დანა.

## ჩავამთავრეთ პირველ დაწყებითი ვარჯიში.

**მე-6 ლეგ. 5 ასეული.**

ხუთი კვირის მეცადინეობის შემდეგ ასეულს დააწყებიეს ვარჯიში მისროლაში სამხაზიანი შაშხანით.

ვარჯიში დავიწყეთ ივნისის უკანასკნელ რიცხვებიდან. წითელ არმიელები ძლიერ მონდომებით ეკიდებიან საერთო მეცადინეობას და კერძოთ კი სროლის საქმეს. თეორიული მეცადინეობის დროსაც დიდი ყურადღება ექცეოდა სროლის საქმეს. ამან კი მეტად შეგვიწყო ხელი პრაქტიკული ვარჯიშის დროს. სროლის დაწყებისთანავე ეტყობოდათ წითელ არმიელებს, რომ თეორიულად კარგად იყვნენ მომზადებული და იცოდნენ ყველა წესები. ვარჯიში მისროლაში ამნაირად პროც. იქნა შესრულებული.

გ. ჭელიძე.

## საწრეო მუშაობა

**მე-4 ლეგიონი.**

ლეგიონის ნაწილების ჩამოსვლისთანავე მოხდა წრეების გადახალისება, და წრის ხელმძღვანელთა თითბირი, რომელზედაც დამუშავდა მომავალი მუშაობის გეგმა.

ამჟამად წრეებში უმთავრესად მუშაობენ ძირედი შემადგენლობის წითელ არმიელები, მხოლოდ სამხკორთა წრეში ჩაბმული არიან ცვალებადელები და ასევეა დრამწრეშიც. დანარჩენ წრეებში კი ისინი იმყოფებიან თავისუფალ მსმენელებივით.

საწრეო მუშაობის გეგმა მტკიცდება კლუბის გამგეობაში, რის შემდეგ ბიურო-კოლექტივის გეგმასთან ერთად ეგზავნებათ კომუჯრედებს. ისინი ადგენენ კალენდარულ ცხრილს და შემდეგ ატარებენ მას წრის ხელმძღვანელები.

მათ აქვთ დღიურები წრის წევრთა სიით ჩატარებულ თემებისა და მასიური მუშაობის აღნუსხვით.

წრის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ლენკუთხეების მუშაობაში.

სულ არსებობს ლეგიონში 21 წრე.

აქედან:

პოლიტიკური წრე—5. საერთო — საგანმანათლებლო 4. დრამატიული წრე—3. სამხ. წრე 1. სამხკორთა წრე 8. ლიტერატურული წრე 1. ამ წრეებში ირიცხებიან მეთაურებსა და ცვალებადელებთან ერთად სულ 587 კაცი.

ხშირია შემთხვევა რომ თითო წ. მოლაშქრე ირიცხება ორ წრეში.

დ—ნა.

## დავიწყეთ ცალკე მეცადინეობა.

**მე-3 ლეგ. 1-ლი ასეული**

რადგან მოახლოვდა ჩვენი სოფელში დაბრუნების დრო, ამიტომ დაგვაწყებიეს ცალკე მეცადინეობა. უმთავრესად გვიხსნიან სოფლად მუშაობის პირობებს, რა გვევალება, რა უნდა ვაკეთოდ და როგორ, ვისთან უნდა დავიჭიროთ კავშირი და მრავალი სხვა. გამოყოფილი გვყავს ხელმძღვანელი ცალკე. ასეთ სპეციალურ ხასიათის მეცადინეობას განცალკავებულად ატარებენ ჩვენთან 2-ჯერ კვირაში.

გვასწავლიან აგრეთვე თუ როგორ უნდა ჩავებათ კოოპერაციაში, საბჭოებში, გლეხკომებში და საზოგადოთ როგორ უნდა ვაწარმოვოთ კულტურული საქმიანობა ფართო მასებში.

მეთაურები დიდ ენერგიას ხარჯვენ ჩვენზე. გვასწავლიან და გვესაუბრებიან სხვა და სხვა ხასიათის საჭირბოროტო საკითხებზე. ჩვენ ყველა წითელ არმიელები დიდი ხალისით ვეწაფებით მუშაობას და მონდომებული ვართ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შევიძინოთ, რომ ნაყოფიერი მუშაობა ვაწარმოოთ სოფელში.

ბიკაშვილი.

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## დილა ბანაკში.

(ორი სურათი).

მზე ავარდა მთის მწვერვალზე
ოქროს თმებში გადიწეწა,
და წყვდიადის ჯაჭვის ქსელი
ღრმა ხევებში ჩამოლეწა!..
მზის ქალწულმა კორტოხებზე
კარვებს წვერი ჩაუბანა,
ფანდურს ბროლის თითი ახლო
ამეტყველდა დილის „ნანა"!
სიხარულით იჩითება
კარვების წინ მხედართ სახე,
ცხენებისკენ მიიჩქარის
მათი გული მოცახცახე.!!!
და ცხენებმაც როცა იგრძნეს
მეგობართა სიახლოვე,
სიხარულით ახვიხვინდენ
და ფრუტუნი მიატოვეს.!
მხედარი კი სიამაყით
ცხენს გავაზე უსობს ხელებს,
თან კისკისი გაუმართავთ
ჩოთქებსა და სამურველებს.!..

დ. ხაზალია.

## ამხ. ქართველიშვილი მე-3 ლეგიონის საპატიო წითელ არმიელია

ივნისის უკანასკნელ რიცხვებში შესდგა ლეგიონის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაირჩა ნაწილის ცხოვრებასა და მოქმედების შესახებ სხვა და სხვა საკითხები. კრების დღის წესრიგში დასმული იყო აგრეთვე საკითხი საქართ. კომპარტიის ცეკას მდივნის ამხ. ლ. ქართველიშვილის ლეგიონის საპატიო წითელ არმიელად არჩევის შესახებ. კრების თავმჯდომარემ გააცნო ამხ. ქართველიშვილი კრებას, რომლის სახელის ხსენებაზე მქუხარე ტაში გაისმა მთელ შემადგენლობაში. წინადადება ამხ. ქართველიშვილის საპატიო წითელ არმიელად არჩევის შესახებ დიდი სიხარულით და ერთხმად იქნა მიღებული.

ნ. კალანდაძე.

## ჩავატარეთ პოლიტ-ლატარეია

**1-ლი მესანგრეთა ასეული.**

2 ივლის ასეულის პოლიტშემადგენლობამ შეიძინა პოლიტ ლატარეისათვის სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთები და პროლეტარიატის ბელადების სურათები.

ჩამოწერილი იქნა სხვა და სხვა კითხვები განვლილ პოლიტსაუბრებიდან და დაიწყო წითელ არმიელების გამოცდა, საზოგადოთ ლატარეიამ კარგი შედეგები მოგვიტანა. წითელარმიელები სხარტად იძლეოდენ სწორ პასუხს ყველა კითხვებზე. კარგად მოპასუხე არმიელები დაჯილდოვებული იქნენ სხვა და სხვა ნივთებით.

კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთები, რადგან ყოველთვის შეჯიბრის ხასიათს ატარებს და დიდ სიხალისეს იწვევს წითელ მოლაშქრეებში.

„ბინოკლი.

## ჩვენი მიღწევები სასკოლო მუშაობაში

**1-ლი ლეგიონი**

ზამთრის სემესტრი სასკოლო დარგში წარმატებით იქნა ჩატარებული ჩვენს ლეგიონში 80 პროც.-ით მაინც. საზაფხულო პერიოდში ნაწილის 1-ლი ათასეული დარჩა ლეგიონის საზამთრო ბინაზე. მართალია ხშირად გავდივართ ყარაულში, მაგრამ ათასეულის წითელ არმიელებთან კიდევ ვასწრებთ სასროლო მეცადინეობის წარმოებას. საამისო დრო კიდევ არის ჩვენს განკარგულებაში. ყოველთვის რეგულიარულად სწარმოებს ჯგუფებთან მეცადინეობა. წითელ არმიელებში კიდევ უფრო იზრდება მეცადინეობისა და ცოდნის შეძენის სურვილი. პოლიტიკურად კარგად არიან ამხანაგები მომზადებული. ვცდილობთ ამ მომზადებას გაუთანასწოროთ მათი მომზადება საზოგადო საგნებშიც.

მოახლოვდა ამხანაგების შვებულებაში წასვლის დრო. სოფლად მათი დაბრუნება გვავალებს, რომ შესაფერი ცოდნით გავისტუმროთ ისინი იქაურ ასპარეზზე სამოღვაწოთ. ამ მხრივ ლეგიონი და კერძოთ-კი 1-ლი ათასეული ამაყობს, რომ მან შესძლო დავალების შესრულება, რომ ყოველმხრივად მოემზადებია თავისი წითელ არმიელები.

ბურჭულაძე.

## მეცადინეობისათვის კარგად ვართ მოწყობილი

**მე-3 ლეგიონი**

ლეგიონში კარგად ვართ მოწყობილი პოლიტიკური და სასკოლო მეცადინეობისათვის. უზრუნველყოფილი ვართ სკამებით, რვეულებით, ფანქრებით და სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთებით. მეცადინეობა მიმდინარეობს კომპლექსიური მეთოდით. ყველა ჯგუფებში დაცულია დისციპლინა და გულმოდგინეობა. აქამდე ერთად გვიხდებოდა სანიტარული საათების მოსმენა, რაც დიდ უხერხულობას იწვევდა. ამჟამად ეს ნაკლიც გამოსწორდა. სანიტარული საათებიც ტარდება ჯგუფობრივ და კომპლექსიური მეთოდით, რასაც ძლიერ კარგი შედეგები მოაქვს.

საერთოდ მეცადინეობა კარგ ნიადაგზეა დაყენებული ნაწილში და დიდი შედეგების მოტანას გვიქადის.

ლეჟავა.

## განგაში რონოდების სწრაფად დატვირთვისათვის

**2-ე ლეგიონი**

მეორე ლეგიონის მთელი შემადგენლობა წაგვიყვანეს რონოდების სწრაფად დატვირთვის შესასწავლად. წინასწარ ჩატარებული იქნა საუბარი ამის მნიშვნელობაზე, თუ როგორ საჭიროებას წარმოადგენს ჯარის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვანად სისწრაფე მოქმედებაში, ბრძანების თავის დროზე ასრულება და სხვა.

დანიშნულ ადგილზე მისვლის შემდეგ შეუდექით რონოდების დატვირთვას უფროსის სათანადო განკარგულების მიხედვით. წითელ არმიელები სისწორით ასრულებდენ მოქმედების წესებს. მუშაობა მწყობრად და ერთსულოვნად მიმდინარეობდა. უფროსები კმაყოფილებით გვიყურებდენ. სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში მზად იყო ყველაფერი. ამოცანა წარმატებით შევასრულეთ.

უფროსებისაგან სათანადო მადლობა მივიღეთ და ისე გამოვეშურეთ უკან ბანაკისაკენ.

დ. თავბერიძე.

## ჩვენს სამხკორთა შორის საჭიროა ექსკურსიები.

**მეორე არტლეგ. სამხკორთა წრეები.**

ლეგიონის მეორე დივიზიონში ჩამოყალიბებულია 2 სამხკორთა წრე, რომლებიც იკრებენ თავის გარშემო 30-მდე წითელ არმიელებს. იმ მუშაობასთან ერთად, რომელიც სწარმოებს წრეებში სამხკორთა აღზრდის მიზნით აუცილებელია მოეწყოს ექსკურსიები სამხკორებისათვის, რომელიც აქამდე არ ყოფილა ჩვენთან და რასაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მოეწყონ ექსკურსიები სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში, სხვა სამხედრო ნაწილებში, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და სხვა.

ამით შევაძლებიებთ სამხკორებს უფრო გააფართოვონ თავისი მხედველობის არე და მეტი გამოცდილება შეიძინონ. სოფლიდან ჩამოსულ ამხანაგებისათვის, რომლებმაც იქ დაბრუნების შემდეგ უნდა განაგრძონ სამოქალაქო პრესაში თანამშრომლობა ეს აუცილებელია. მათ უნდა იცოდნენ, დაახლოებით წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეთ ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების შესახებ.

იმედია წრეების ხელმძღვანელები შემდეგში მაინც მიიღებენ ამ მხრივ ზომებს.

გ—დი.

# ფიზკულტურა ჩვენს ნაწილებში

## ფიზკულტურა დიდ დაინტერესებას იწვევს ცვალებადელებში

4-ე ლეგიონი

ფიზიკური კულტურით დიდათ დაინტერესებულია ნაწილი. პირველ რიგში დგას ამ დარგიდან ფეხბურთი, რომელსაც დიდი ხალისით და დაინტერესებით ეკიდებიან ჩვენი ცვალებადელი წითელ არმიელები. სწარმოებს მეცადინეობა აგრეთვე სხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშობებში. ფეხბურთი უმთავრესათ კვირაობით იმართება. ხელმძღვანელები კარგი გვყავს, მაგრამ სამწუხაროდ არა გვაქვს საჭირო იარაღები. ეს კი ძლიერ გვიშლის ხელს მუშაობაში.

კარგი იქნება მიიღებდენ ზომებს ჩვენი უფროსები და გვიშოვიდენ იარაღებსა და ტანსაცმელს.

ი—ა.

# 1-ლი არტლეგიონი ემზადება შეჯიბრისათვის

ლეგიონი გაცხოველებული ემზადება საარმიო შეჯიბრისათვის. არის ფეხბურთელთა წრე და სხვები. ხელმძღვანელების აზრით ნაწილი ამ მხრივ საკმაოდ მომზადებულად უნდა ჩაითვალოს და არ შერცხვება საერთო საარმიო შეჯიბრის დროს.

საჭიროა მხოლოდ სპორტში წითელ არმიელების უმრავლესობა იქნას ჩაბმული. ამას არა აქვს ადგილი დღემდე და აუცილებლად უნდა მოგვარდეს შემდეგისათვის.

ა. არველაძე.

### წყალი არ გვაქვს.

1-ლ საარტ. ლეგიონის წითელი არმიელნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლოობის გამო, თუმცა წყალი არის სამზარეულოში, მაგრამ შიგ შესვლა აკრძალულია.

საჭიროა შეძენა წყლის ჭურჭლის და საკითხის მოგვარება.

წ. არმ. ბარათაშვილი.

### დროზე უნდა გამოსწორდეს.

მე-4 ლეგიონის სამნეო ასეულში არ არის ყველაფერი რიგზე. ოთხთვალები დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. ცალუღელების (ხამუტი) უვარგისობის გამო გაფუჭდა ორი ცხენი. სამნეო ასეულის მეთაურმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება, თორემ ასეული ვერ შეასრულებს აუარებელ საქმეს, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

გლეხი.

# ახალი ავიაციაში.

### ჯარების გადასაყვანი ჰაერო პლანები

ინგლისში ამზადებენ სპეციალურად 15 სატრანსპორტო ჰაეროპლანებს ჯარების გადასაყვანად.

თითეულ ჰაეროპლანში თავსდება 25 კაცი მთელი საომარი მოწყობილობით. ამას გარდა თითეულ მათგანზე იქნება მოწყობილი რადიო სადგურები ჭურჭლები სასმელი წყლის მოსაკავებლად.

### რა გადააქვს თანამედროვე ჰაეროპლანს.

ლონდონიდან ბერლინში ერთი ჰაეროპლანით გადაიტანეს შემდეგი საგნები:

ორი ამანათი სანიმუშო საქონლით ლეიპციგის ბაზრობისათვის, ორი ყუთი ოქროს ფულებით 1700 მანეთის რაოდენობით თითეულში, ძვირფასი ბეწვეულობა, წებო, წყალგაუვალი მატერია, ერთი ყუთი სათამაშოები, ორი ყუთი მანქანების სხვა და სხვა ნაწილები, ხუთი ყუთი ყვავილები ამსტერდამიდან და ცოცხალი საქონელი, ერთი კატა და ორი მტრედი.

### სიმაღლის რეკორდი ჰიდრო-ჰაეროპლანზე

ფრანგ ლეიტენანტ დემონჟონიმ საზღვაო ჰიდრო-ჰაეროპლანით, რომელზედაც მოთავსებული იყო 450 ცხენის ძალიანი მოტორი, შესძლო 6100 სიმაღლეზე აფრენა. ჰიდრო ჰაეროპლანზე მოთავსებული იყო 500 კილოგრამი სასარგებლო ტვირთვი. ამნაირად მან აიღო მაღლა აფრენაში უდიდესი რეკორდი.

### მოგზაურობა დედამიწის გარშემო

23 ივნისს დერულიფტის სისტემის ჰაეროპლანით მოსკოვში ჩამოფრინდა ორი ამერიკელი ჟურნალისტი, რომლებსაც განზრახული აქვთ ამ უახლოეს დროში იმოგზაურონ დედა მიწის გარშემო. მეორე დღეს მოგზაურები გაფრინდენ მოსკოვიდან ომსკის მიმართულებით, საიდანაც მატარებლით გაემართებიან ჩიტასაკენ. მოსკოვიდან—ომსკამდე ჟურნალისტები გადაყვანილი იქნენ ავიოქიმის ჰაეროპლანით.

# სამხედრო ქრონიკა.

### ძირედ ნაწილებისთვის უვარგის პირების სამხედრო სამსახურის გავლის წესი.

„სავალდებულო სამხედრო სამსახურის" შესახებ კანონის თანახმად, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძირედ შემადგენლობის ნამდვილ სამსახურში მიიღებიან ისეთი ახალწვეულები, რომლებიც ცნობილი არიან ვარგისად ძირედ შემადგენლობაში სამსახურისათვის. ამის და მიხედვით საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარმა გასცა ბრძანება, რომლის თანახმად ყველა ახალწვეულები, რომლებიც ცნობილი არიან ვარგისად სამწყობრო სამსახურისთვის საომარ პირობებში და უმწყობრო სამსახურისთვის ომის დროს, დათხოვნილი უნდა იქნენ არმიის ძირედ შემადგენლობიდან და გადაიგზავნონ მათი ბინადრობის ადგილებზე **სამსახურის გარეშე სამხედრო სამსახურის გასავლელად.**

საშვალო და უმაღლესი ცოდნის მქონენი, რომლებიც გადიან სამსახურს განსაკუთრებულ საფუძვლებზე, შეიძლება დათხოვნილი იქნან არმიის ძირედ შემადგენლობიდან აღნიშნული განკარგულების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ისინი უვარგისად იქნებიან ცნობილი მშვიდობიან დროის სამსახურისათვის და განსაზღვრულად ვარგისათ ომის დროისთვის ან უვარგისად იხსნებიან აღრიცხვიდან.

### მიღება სამხედრო ვეტერინარულ საფერშლო სკოლაში.

გამოცხადებულია აღნიშნულ სკოლაში მისაღები წესები 1926-27 წელში.

სკოლაში მიიღებიან რიგის წითელ არმიელები და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც თანახმად განსაკუთრებული განაკვეთისა მივლინებული იქნებიან სამხედრო ოლქების მიერ და აგრეთვე გარეშე პირები 18-25 წლამდე, რომლებიც გამოდგებიან სამხედრო სამსახურისათვის და აქვთ შრომის სკოლის მეორე ჯგუფის კურსის ცოდნა, მათ უნდა ჩააბარონ ამ კ... რსის მიხედვით გამოცდები რ... სულ ენაში, არითმეტიკაში, ბ... ნების მეტყველებასა და საზ... გადოებრივ მეცნიერებაში. სა... წავლებელში შესულები იმყ... ფებიან სამხედრო სკოლებ... კურსანტების პირობებში: ფ... ლით კმაყოფას ღებულობენ ხარისხით 9 ხარისხიანი ქსელ... განაკვეთიდან.

სკოლის კურსი 3 წლიან... კურს დამთავრებულები ინ... ნებიან წითელ არმიის ნაწილ... ბში საშვალო ვეტერინარ... მეთაურთა შემადგენლობის ... ნამდებობაზე. სკოლა დამთ... რებულები ვალდებული ხდებ... იმუშაონ წითელ ჯარში სა... ნადო კანონის თანახმად.

### შვებულებაში მიმავალ არმიელების სამგზავრო კმაყოფა.

ს. ს. რ. კ. რევოლიუც... ნურ სამხედრო საბჭოს დად... ნილების თანახმად, გრძელ... დიან შვებულებაში გაშვებუ... წითელ არმიელები, ისევე ... ნებიან დაკმაყოფილებული ... რსათ სანოვაგით და საუ... ფო ფულით, როგორც გას... წელში, ე. ი. ისინი მიიღ... ულუფის ფულს საცხოვრე... ადგილზე მისვლამდე ვერსო... დაწესებულ ანგარიშის მიხ... ვით. ულუფის ფული დაწ... ბულია 25 კაპიკი დღე-დ... განმავლობაში თითეულ სუ... ზე,

# უცხოეთის არმიებში

### რას ასწავლიან იაპონელ ჯარისკაცს.

ამერიკის ქვეითი ჯარის ჟურნალში დაბეჭდილია ორი ამერიკელ ოფიცრების შთაბეჭდილებანი იაპონიის ჯარის შესახებ. ამ ოფიცრებს ორი წელი უმსახურიათ იაპონიის ჯარის მე-29 ქვეითი ლეგიონში.

მათი გადმოცემით, იაპონიაში მიღებული ზოგიერთი სწავლების მეთოდები ინტერესს მოკლებული არ არის სხვა სახელმწიფოებისთვისაც.

მაგალითად, აი რას ამბობს ჯარის კაცის უბის წიგნი ხიშტის საბრძოლო მნიშვნელობის შესახებ:

„ხიშტი—ყოჩაღია."

„მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრძოლაში ხიშტს. არავითარ მანქანებს არ შეუძლიან მისი მაგიერობის გაწევა და დამარცხება. ჯარის კაცს უნდა სწამდეს მისი სიძლიერე და უნდა იცოდეს მისი კარგად მოხმარება".

ეს მარტო ცარიელი სიტყვები როდია. იაპონიის ქვეითი ჯარი ყოველთვის და ხანგრძლივად სწავლობს ხიშტის ხმარებას. ლეგიონებში ინსტრუქტორებათ მოწვეულნი არიან ხიშტით კარგი მებრძოლნი. ხიშტით გარგ მებრძოლთ დიდის პატივით ეპყრობიან ამხანაგები.

### პატივისცემა იარაღისადმი.

იარაღს იაპონიაში დიდ პატივსცემენ, დიდის სიფრთხილით ინახავენ და იცავენ. ახალწვეულს თვით ლეგიონის თავი აბარებს შაშხანას. ხმლის პირებს ისე უფრთხილდებიან, რომ არავის ნება არ აქვს ხელით შეეხონ მათ, რომ ფერი არ ეცვალოს. ის მუდამ უნდა პრიალებდეს.

იაპონიის ქვეითი ჯარს ასწავლიან, თუ როგორ უნდა შეუტიოს მოწინააღმდეგეს ღამით და დღით. ასწავლიან აგრეთვე თუ როგორ სძლიონ ყოველივე დაბრკოლებანი შეტაკების დროს არტილერიის დაუხმარებლად. ამ მხრივ ისინი დიდ სიმარჯვეს იჩენენ.

აქვე მოგყავს ორი მაგალითი:

**ამხანაგების ზურგზე.**

1. რომ ხელი არ შეუშალოს ჯარს მტრის 12 ფუტიან სიღრმის და 8 ფუტიან სიგანის სანგრებმა და ორმოებმა ისინი მიმართავენ შემდეგ ხერხს: გარბიან ორმოსაკენ და ხტებიან შიგ; ჩახტომისთანავე თავს წევენ ძირს და ზურგს ზევით. ამრიგათ, მთელი ჯარი გადადის მათ ზურგზე თავისუფლად.

2. თუ როგორ ანადგურებენ ისინი მტრის 50 ფუტიან სიგანის და 5 ფუტიან სიმაღლის მავთულის ხლართს. პირველნი, რომლებმაც მიირბინეს ხლართამდე, დაეტაკებიან მას მუცლით და სდებენ თავის წინ შაშხანას, დანარჩენი, როგორც პირველნი დაეცემიან მუცლით მავთულს და ეს გრძელდება მანამდე, სანამ მავთულის ხლართს მიწამდე არ დაიყვანენ, მიწამდე დაყვანილ მავთულს სჭრიან და ამნაირად გზას იკაფავენ წინ სვლისათვის. (მეცადინეობის დროს ეკლიან მავთულს არ ხმარობენ).

**სროლა.**

ცალკეული სროლის დროს მიზანში მოხვედრით ნაქებნი არიან უმცროსი მეთაურები. საერთოდ ჯარის კაცებს ასწავლიან კოლექტიურ სროლას მოძრავი და უცბად გამომჩენ ნიშანზე. იაპონელები ამტკიცებენ, რომ სწორედ ასეთი სროლაა საჭირო ბრძოლის დროს.

ცეცხლის ერთეული—განყოფილება.

ასეულში—ექვსი განყოფილებაა. თითეულ განყოფილებაში სამი ჯგუფეულია (ორი მსროლელი და ერთი ტყვიამფრქვევი).

**მარჯვე მზვერავები.**

იაპონიის მზვერავს არ აქვს ყიბლანი, ცუდათ ერკვევა კართას. სამაგიეროდ მას კარგად შეუძლია თვალთვალი. საკმარისია იაპონიის მზვერავისთვის უბრალო ნიშანი, რომ მან სწორად აღნიშნოს მოწინააღმდეგის ძალა, შემადგენლობა, მათი მოძრაობის სისწრაფე და ტრანსპორტის რაოდენობა. ბრძოლის დროს ისინი თვალთვალს აწარმოებენ გახსნილ ფრონტის წინ შეტევაზე გადმოსულ ოცეულების მიმართ. მოწინააღმდეგის ბანაკთან მიახლოვების დროს ისინი არ აგზავნიან მზვერავებს, რომ ამით არ გასცენ თავიანთი სიახლოვე.

მზვერავები მდებარეობის მიხედვით ძალიან მოხერხებულად ინიღბვებიან. ყოველ მათგანს აქვს მწვანე ბადე. ასეთ ბადეს ისინი ავსებენ ბალახით და ფოთლებით, რომელსაც საჭიროების დროს იხურავენ თავზე და შეუმჩნევლად 30 ნაბიჯზე უახლოვდებიან მტერს. მზვერავთა გუნდში ბლომად ინიშნებიან ოფიცრობაც.

**სისუფთავის მოყვარული ჯარის კაცი.**

იაპონიის ჯარის კაცს დიდათ უყვარს სისუფთავე. ზამთარ-ზაფხულ ის ყოველ დღე ბანაობს. მიუხედავად იმისა, რომ ის საცვლებს თვითონ ირეცხავს, მაინც ყოველ დღე იცვლის. წვიმის მიერ დასველებულ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მაშინვე იცვლის. განსაკუთრებით წვიმის დროს უფრთხილდება მკერდის და მუცლის დასველებას.

ჯარის კაცები კარგად არიან გაცნობილნი ანატომიას (ადამიანის აგებულობას) და კარგადაც შეუძლიანთ პირველი საექიმო დახმარების აღმოჩენა.

# პასუხი სამხკორებს

ამხ. გ. ქლენტს, ზენობნელს, აზარიაშვილს, კახიძეს, საჭილავ... ობ—ძეს.—თქვენი წერილები „როგორ უნდა მოვსპოთ ეს ნაკ... „დავიხრჩვით წყურვილით", „უკმაყოფილება", „ხელცი... ფართო ხასიათი მიიღო", „უადგილო შენიშვნა", „ნაკლი მოსწორდეს"-გამოდგებიან ადგილობრივ კედლის გაზეთის...

ამხ. მაყურებელს, ველჯს, ლ—ას, ნატრიაშვილს, ფოლადიანს—... ვენი წერილები „დაძაბუნებას ადგილი არ უნდა ჰქონ... „ცუდ შეხედულებას ჰბადებს", „ნეტავ რად გვინდა", „წ... მოლაშქრეც ასეთი უნდა", „ასეთი წით. არმიელები პას... გებაშია მისაცემი". არ დაიბეჭდება.

ამხ. პაქასაშვილს— თქვენი წერილი „აღფრთოვანებით შევხვ... არ დაიბეჭდება, ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. საჭილაველს—თქვენი წერილი „ასეთ დაუდევრობას არ ჰქონდეს ადგილი", გადაეგზავ ნა სამხედრო პროკურორს ... მების მისაღებათ.

ამხ. შენგელიას და ალ. მარგებაძეს— თქვენი წერილები გადა... ვნა ტერსამმართველოს ზომების მისაღებათ.

ამხ. შ. გ-ს. თქვენი წერილი „უწესრიგობას ბოლო უნდა მოე... —გადაეგზავნა ნაწილის უფროსს.

ამხ. მაძიებელს. თქვენი წერილი „ეს კი დაუშვებელია ბანაკ... გადაეგზავნა ნაწილის სამხკომს.

მ. საწირელს.—წერილი „ეს როგორი შვებულებაა" გადაეგ... ცხენ. ლეგ. უფროსს.

ე. მახარობლიშვილს.—ლექსი სუსტია, არ გავა.

ამხ. ლალიაშვილს და მეთვალყურეს. თქვენი წერილები გამო... კედლის გაზეთისთვის.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-5 ასეულის კომ... დში შემოტანილი აქვთ პარტიაში კანდიდატად მიღების შ... განცხადებები: 1. წ. მოლაშქ. კირაკოზაშვილი სერგო დარჩია... (სიღნაღის მაზ. სოფ. ჩაილურის მცხოვრები ა. ლ. კ. კ. წევრი... წლიდან), 2) გედენიძე სემლარ ლაზარესძეს (ქუთ. მაზ. სოფ. ჩხის მცხოვრ. ახ. ლ. კ. კ. წევრი 1925 წ.), 3) ხურციძე გრი... იოსებისძეს (ოზურგეთის მაზ. სოფ. ნატანების მცხოვრები, ახ... კ. კ. წევრი 1924 წ.), 4) გოგაშვილი ილია ტიტიკოსძეს (სიღ... მაზ. სოფ. ჯუგაანის მცხ. უპარტიო.).

გთხოვთ გვაცნობოთ 15 დღის განმავლობაში მათ საწი... დეგოთ თუ რამე გაქვთ.

მე-5 ასეულის კომუჯრედის პ. მ. მდივანი ლ ო მ ი ა.

1-ლ ქართ. მსრ. ლეგ. მე-3 კომუჯრედში შემოტანილი განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კაპანაძე შალვას, 2) გონგლაძე ნიკოლოზს, 3) ელ... კოსტას, 4) ბაჯელიძე შალვას, 5) სარჯველაძე აკაკის (ა.ლ.კ.... ვრი), 6) კოტე კოზანაშვილს და 7) ლომაძე ბენიას (უპარტი...

გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში თუ ... გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო მათ შესახებ.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი კ. ქ ა ჯ ა ი ა.

ნ. ო. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის 1. № 3. პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.